

საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში პირთა
ექსტრადისციპინის პრობლემური კრედიტობა
საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი

რამზან ახიადოვის საქმის სამართლებრივი შეფასება

2022

ადამიანის უფლებათა ცენტრი



ავტორი: ლაზარე ჯიბლაძე



ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

საქმის ფაქტობრივი გარემოებები	4
ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები და ექსტრადიციის დაუშვებლობის საფუძვლები	6
ექსტრადიციის პროცედურები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრაქტიკა	9
ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა რუსეთის ფედერაციაში	10
შეჯამება	11

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში რამზან ახიადოვის ექსტრადირების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოვლენილი ძირითადი პრობლემური ტენდენციები და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან და ადგილობრივ სტანდარტებთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევდა საქართველოში მცხოვრებ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, ეთნიკურად ჩეჩენ რამზან ახიადოვს. იგი 2017 წლიდან ქუთაისში ცოლთან და ოთხ არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა. 2018 წლის დეკემბერში იგი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს, რადგან რუსეთის ფედერაციის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით, იგი იძებნებოდა ტერორისტული მოქმედებების ხელშეწყობის, არაკანონიერ შეიარაღებულ დაჯგუფებაში მონაწილეობის ტერორისტული ორგანიზაციის მოქმედებების ორგანიზებისა და მსგავს მოქმედებებში მონაწილეობისთვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცნობით, რამზან ახიადოვი „2013 წელს სირიის არაბულ რესპუბლიკაში გაემგზავრა, სადაც განვერდიანდა ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოში“ (ISIS) და 2015 წლის თებერვლის ჩათვლით, მის საქმიანობაში მონაწილეობდა. ის იბრძოდა სირიის სახელმწიფოს სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში. რამზან ახიადოვი, შეიარაღებული ფორმირების სხვა წევრებთან ერთად, „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლქვეშ არსებული ტერიტორიების ე.წ. საზღვრებზე განთავსებულ პოსტებს იცავდა. ასევე, 2015 წლის მარტიდან 2015 წლის ივლისამდე პერიოდში, რამზან ახიადოვი, რომელიც მოცემული დროისთვის კვლავ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი იყო, თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა“¹.

რამზან ახიადოვმა დაკავებისთანავე განმარტა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან 2013-2017 წლებში, იგი თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდა და მუშაობდა, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებები მან სასამართლოს წარუდგინა კიდევ. ამასთან დაკავებული განმარტავდა, რომ ის იღვწებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, რამზან კადიროვის კრიტიკის გამო, რის გამოც ის იძულებული გახდა, საცხოვრებლად თურქეთში გადასულიყო. გასაუბრების ოქმში ახიადოვი კადიროვის მხრიდან შევიწროების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე უთითებდა და ამ ფაქტების დასადასტურებლად, მისი ოჯახის წევრების გამოკითხვას ითხოვდა, მაგრამ სასამართლომ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა².

რამზან ახიადოვის ექსტრადირების თაობაზე პროცესი თავდაპირველად წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო შემდეგ, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, უზენაეს სასამართლოში. 2019 წლის 26 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით, დასაშვებად იქნა ცნობილი რამზან ახიადოვის ექსტრადირაცია რუსეთის

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 20 სექტემბრის განცხადება: <https://bit.ly/3nOVW74>

² სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/3yUllw4>

ფედერაციაში.

2019 წლის 12 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა რამზან ახიადოვის ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 2019 წლის 26 აგვისტოს განჩინების გაუქმებისა და ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ამასთან, ექსტრადიციის საქმის განხილვის პარალელურად, რამზან ახიადოვმა საქართველოში ითხოვა თავშესაფარი, რაზედაც მას უარი ეთქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ. დაცვის მხარის მიერ მოცემული გადანყვეტილება გასაჩივრდა ორი სასამართლო ინსტანციის წინაშე კანონით დადგენილი წესით, მაგრამ იგი ძალაში დარჩა³.

მნიშვნელოვანია, რომ საქმის მასალები და რამზან ახიადოვთან დაკავშირებული გარემოებები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ (მისი რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების გამო) დევნის, წამების რისკებზე მიუთითებდა, მაგრამ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მაინც მიიღო ექსტრადიციის დაკმაყოფილების გადანყვეტილება და მიუთითა, რომ არსებობდა რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული გარანტიების მონიტორინგის შესაძლებლობა. საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ცენტრის და ადამიანის უფლებებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგობის მიუხედავად, 2019 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რუსეთის ფედერაციას გადასცა⁴.

რამზან ახიადოვის ექსტრადიციასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული შეშფოთების გამო, იმდროინდელმა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ახიადოვი იქნებოდა მოთავსებული ადამიანურ პირობებში საპატიმროში და მას არ შეეწყმენებოდა პრობლემები. ამასთან, მისივე განცხადებით, ის გააგრძელებდა ამ გარანტიების აღსრულების მონიტორინგს რუსეთის ფედერაციის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში⁵.

2019 წლის 8 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, მოეწოდებინა საჯარო ინფორმაცია, განახორციელა თუ არა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მინისტრის მიერ დაპირებული მონიტორინგი, თუ რამდენად სრულდებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული სამართლებრივი გარანტიები რამზან ახიადოვის მიმართ. მას შემდეგ, რაც სამინისტრომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გასცა 10 დღის ვადაში, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი, 2019 წლის 22 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა კიდევ ერთხელ მიმართა იუსტიციის მინისტრს, საჯარო ინფორმაციის გაცემის თხოვნით. კერძოდ, ორგანიზაცია ითხოვდა პასუხს მნიშვნელოვან კითხვებზე: საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რუსეთის ფედერაციიდან გამოითხოვა თუ არა ინფორმაცია, რა პირობებში იმყოფება დღეისათვის რამზან ახიადოვი ჩეჩნეთის რესპუბლიკის საპატიმროში და რამდენად სრულდება რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული სამართლებრივი გარანტიები. იუსტიციის სამინისტრომ ამჯერადაც დაარღვია საჯარო ინფორმაციის მოწოდების ათდღიანი ვადა. იუსტიციის სამინისტრომ ზოგადი ინფორმაცია მხოლოდ სამი წლის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის

³ ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/3yvwHrB>

⁴ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3NQedM1>

⁵ იუსტიციის იმდროინდელი მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადება: <https://bit.ly/3NUD3KK>

ერთობლივი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე, 2022 წლის 27 აპრილს ჩანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე წარმოადგინა.

ექსტრადიციის შემდეგ, რუსეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რამზან ახიალოვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დღემდე უცნობია.

ახიალოვის საქმე საზოგადოებაში იმთავითვე რეზონანსული იყო, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ჩეჩნური წარმომავლობის გათვალისწინებით. ჩეჩნეთში კადიროვის რეჟიმის სადამსჯელო ღონისძიებებისა და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე საქართველოს საზოგადოებას ამ საქმემდეც არაერთხელ გამოუხატავს შეშფოთება. რამზან ახიალოვი ყველა წარდგენილ ბრალდებას უარყოფდა და მის მიმართ არსებულ პოლიტიკურ დევნაზე ამახვილებდა ყურადღებას, ჩეჩნეთის პრეზიდენტის - რამზან კადიროვის ღია კრიტიკის გამო.

რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობა, განსაკუთრებით - ფედერალურ ციხეებში არსებული უმძიმესი მდგომარეობა, მუდმივი კრიტიკის საგანია ადამიანის უფლებებზე მომუშავე არაერთი საერთაშორისო, ავტორიტეტული ორგანიზაციის ანგარიშებსა თუ კვლევებში. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ფედერაციის ციხეებში და პენიტენციურ სამედიცინო დაწესებულებებში არსებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობის სათანადოდ შესწავლის გარეშე, მხოლოდ რუსეთის ფედერაციისგან მიღებული შაბლონური დიპლომატიური გარანტიების საფუძველზე ახდენს ბრალდებული პირების ექსტრადირებას.

ამ ფონზე, ცენტრის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იუსტიციის ყოფილი მინისტრის არაერთი დაპირებისა, რომ ექსტრადიციის რეზონანსულ საქმეებს პირადად გაუწევდა მონიტორინგს, სამინისტრო დღემდე არ ასაჯაროვებს ინფორმაციას უკვე ექსტრადირებული პირების მდგომარეობის მონიტორინგის პროცესისა და მისი შედეგების შესახებ. ეს კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს საზოგადოებაში ამ პროცესისადმი და საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების აღსრულებაზე.

ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები და ექსტრადიციის დაუშვებლობის საფუძველები

ზოგადად, ექსტრადიცია ფორმალური პროცესია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ერთი სახელმწიფოს მიერ („მიმღები ქვეყანა“) მეორე სახელმწიფოს ხელისუფლებისთვის („მოთხოვნელი ქვეყანა“) გადაცემა სისხლის სამართლის საქმეზე დევნის ან განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით⁶. როგორც წესი, ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებები და ეროვნული კანონმდებლობის დებულებები განსაზღვრავენ იმ დანაშაულების ნუსხას, რომელთა ჩადენის შემთხვევაში ექსტრადიციის მოთხოვნა შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული („ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაული“); ასევე ეს შეთანხმებები და დებულებები განსაზღვრავენ ექსტრადიციის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის მიზეზებს („უარის თქმის მიზეზები“), თანამდევ დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და/ან მოთხოვნელი ქვეყნის მიერ წარსადგენ მტკიცებულებებს. ექსტრადიციის შესახებ თხოვნის

⁶ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, UNHCR, 2008, გვ. 5. <https://bit.ly/3nTm7te>

პროცედურები ჩვეულებრივ, მიმღები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული⁷.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებული ან მსჯავრდებული პირი სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემას არ ექვემდებარება. საექსტრადიციო პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი ქმედება ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოშიც დანაშაულად ითვლება და მისი ჩადენისთვის გათვალისწინებული სასჯელის სახე და ხანგრძლივობა ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ და გამცემ სახელმწიფოებში შეესაბამება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით ან/და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ სტანდარტს⁸.

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადირება განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით სულ მცირე ერთი წლით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. ამასთან ერთად, ექსტრადიციის განხორციელებამდე პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს საექსტრადიციო პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება⁹.

ექსტრადიციის მოთხოვნის მიღების და წარმოების დანაშაულის შემდეგ, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტრო უცხო სახელმწიფოს მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას დაუყოვნებლივ უგზავნის საქართველოს მთავარ პროკურატურას, რის შემდგომაც საექსტრადიციო მასალას გააცნობენ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს¹⁰ და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილი პროკურორი მიმართავს სასამართლოს ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ საკითხის განსახილველად. სასამართლო სხდომაზე განიხილება ექსტრადიციის დასაშვებობა და მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას ექსტრადიციის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის შესახებ¹¹. სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილების შემდგომ, კანონის 34-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, იუსტიციის მინისტრი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას ექსტრადიციის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ¹².

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში შესაძლოა გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში

⁷ „კავშირი ექსტრადიციასა და თავშესაფარს შორის“, UNHCR-ის სამართლებრივი და დაცვის პოლიტიკის კვლევა, PPLA/2003/05, 2003 წლის ნოემბერი. <https://bit.ly/3ABuKQX>

⁸ Jareborg, N.: (ed.) Double Criminality: Studies in International Criminal Law, Uppsala, 1989, pp. 84-134; Williams, S.A.: The Double Criminality Rule and Extradition: A Comparative Analysis, Nova L. Rev., 1991, pp. 581-623; ასევე, Vermeulen, G., De Bondt, W., Ryckman, C.: (eds.) Rethinking International Cooperation in Criminal Matters in the EU, 2012, p. 110.

⁹ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹⁰ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹¹ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹² „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-14 პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

(სასამართლოს პირველი სხდომა უნდა ჩაინიშნოს 5 დღის ვადაში)¹³ და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული წესის მიხედვით, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდგომ თუ პირის ექსტრადიცია დაუშვებლად იქნება ცნობილი, იუსტიციის მინისტრი გამოსცემს ბრძანებას ექსტრადიციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ¹⁴.

კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ გარემოებებს, რა დროსაც დაუშვებელია ექსტრადიციის განხორციელება. მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, მე-20 მუხლები კრძალავს ექსტრადიციას თუ ჩადენილი დანაშაული პოლიტიკურ ან პოლიტიკურთან დაკავშირებულ სამხედრო დანაშაულად განიხილება¹⁵. ამავე კანონის 28-ე მუხლის თანახმად, ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად განიხილება თუ დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია, მთლიანად ან ნაწილობრივ საქართველოს ტერიტორიაზეა ჩადენილი¹⁶. აქვე, კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდეს როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პირის ექსტრადიცია მოითხოვება იმ მიზნით, რომ შემდგომ იგი პასუხისგებაში იქნეს მიცემული ან დაისაჯოს მისი რასის, ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა მსგავს გარემოებათა გამო¹⁷. ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად კი ექსტრადიცია აკრძალულია თუ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ პირის წამებასთან, მისდამი სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასთან¹⁸.

ექსტრადიციის პროცედურები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში

მიმღები ქვეყნის ვალდებულებები არგაძევებასთან დაკავშირებით, რომელიც მას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ეკისრება, აწესებენ სავალდებულო შეზღუდვებს ექსტრადიციაზე თუ კონკრეტული პირის გარკვეული ქვეყნისთვის გადაცემის შემთხვევაში მას წამება ან ადამიანის უფლებების სხვა სერიოზული დარღვევა შეიძლება დაემუქროს. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ 1984 წლის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება გააძევოს, დააბრუნოს ან გადასცეს მეორე ქვეყანას ის პირი, რომელიც, არსებული საფუძვლიანი ვარაუდიდან გამომდინარე, შეიძლება დაექვემდებაროს წამებას“. წამების აკრძალვა რაკი ჩვეულებითი საერთაშორისო

¹³ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-11 პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹⁴ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-13 პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹⁵ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 და მე-20 მუხლები. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹⁶ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹⁷ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

¹⁸ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მესამე პუნქტი. <https://bit.ly/3P8IHcY>

სამართლის შემადგენელი ნაწილია, რომელიც *jus cogens* წარმოადგენს, გაძევების დაუშვებლობა მაშინ, როდესაც წამების საფრთხე არსებობს, სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის ისეთი სახელმწიფოებისთვისაც, რომლებსაც ჯერ ხელი არ მოუწერიათ შესაბამისი ხელშეკრულებებისთვის¹⁹.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-7 მუხლებით აკრძალულია სიცოცხლის უკანონოდ წართმევა, წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა. ამ მუხლებში ასევე გათვალისწინებულია გაძევების აკრძალვა თუ ამის შედეგად ადამიანს ზემოხსენებული საფრთხე დაემუქრება²⁰. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში გაძევების აკრძალვა თუ ეს ადამიანს „გამოუსწორებელი ზიანის“ მიღების საშიშროების ქვეშ აყენებს, ეხება ყველა ადამიანს, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება²¹. იგივე ვალდებულება ეხება იმ ქვეყნებს, სადაც ადამიანის ექსტრადირება ხდება ან სადაც ესა თუ ის გაძევებული ან ექსტრადირებული ადამიანი საბოლოოდ შეიძლება მოხვდეს²². ამ ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება და მასთან დაკავშირებით არ დაიშვება არავითარი გამონაკლისი²³.

წამების პრევენციის და დასჯის 1985 წლის ამერიკული კონვენციის მე-13(4) მუხლის მიხედვით: „ექსტრადიცია არ მოხდება და არც შეიძლება მოთხოვნილი იქნას თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კონკრეტული პირის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება და რომ ეს პიროვნება შეიძლება წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლი გახდეს და რომ იგი მთხოვნელ ქვეყანაში შეიძლება იქნას სპეციალური ან სახელდახელოდ შექმნილი სასამართლოს მიერ გასამართლებული“²⁴.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრაქტიკა

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილებით, არგაძევების ვალდებულება იმ ვალდებულების ნაწილია, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვალდებულება მოქმედებს მაშინაც, როდესაც არსებობს რეალური რისკი, რომ კონკრეტული პიროვნების ექსტრადიციის ან გაძევების შედეგად, ის შეიძლება ზემოხსენებული მოპყრობის მსხვერპლი გახდეს²⁵.

¹⁹ ადამიანის უფლებების კომიტეტის „საერთო კომენტარი №29: მუხლი 4: უფლებების შემზღვევა საგანგებო მდგომარეობის დროს“ გაეროს დოკ.: CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 2001 წლის 31 აგვისტო, პარაგრაფი: №11. <https://bit.ly/3ABv0PV>

²⁰ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-7 მუხლები. <https://bit.ly/2MwPwdb> ; UNHCR-ის „შენიშვნა დიპლომატიურ გარანტიებზე და ლტოლვილების საერთაშორისო დაცვაზე“, 2006 წლის 10 აგვისტო, პარაგრაფები 16-19.

²¹ ადამიანის უფლებების კომიტეტის „საერთო კომენტარი №31“, პარაგრაფი 10.

²² ადამიანის უფლებების კომიტეტის „საერთო კომენტარი №31“, პარაგრაფი 12.

²³ UNHCR-ის „შენიშვნა დიპლომატიურ გარანტიებზე და ლტოლვილების საერთაშორისო დაცვაზე“, 2006 წლის 10 აგვისტო, პარაგრაფები 16-19. <https://bit.ly/3c5DzrK>

²⁴ INTER-AMERICAN CONVENTION TO PREVENT AND PUNISH TORTURE (Adopted at Cartagena de Indias, Colombia, on December 9, 1985, at the fifteenth regular session of the General Assembly), მე-13(4).

²⁵ „სორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განაცხადი №14038/88, 1989 წლის 7 ივლისი. <https://bit.ly/3Ri2yYl> ; „კრუს ვარასი შვედეთის წინააღმდეგ“, განაცხადი №15567/89, 1991 წლის 20 მარტი. <https://bit.ly/3RrK6xw>.

ერთ-ერთ უახლეს საქმეში „საადი იტალიის წინააღმდეგ“, ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა დაუშვებელია. ამ გადამწყვეტილებით, ასევე, დაუშვებელია გაძევება თუ ბრალდებულს წამება ან არაადამიანური მოპყრობა ემუქრება, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქცევა ეს პირი და რამდენად მიუღებელი და სახიფათოა იმ დანაშაულის ბუნება, რომლის ჩადენაც მას ბრალდება. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა მისი ადრინდელი მოსაზრება, რომ ბრალდებულის წამების ან მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის რისკის შედარება მისი გაძევების მიზეზებთან შეუძლებელია, შესაბამისად ამ შემთხვევაში შეუძლებელია კონკრეტული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში²⁶.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია, შეათვასოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები მიმღები სახელმწიფოდან²⁷, ასევე დაეყრდნოს საკითხთან დაკავშირებით ყველა ობიექტურ და რელევანტურ მასალას²⁸. ასევე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მოითხოვს, რომ გამგზავნა სახელმწიფომ არ დააკისროს გადამეტებული ტვირთი განმცხადებელს კონვენციის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევის დასამტკიცებლად²⁹.

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხელშემკვრელი მხარის გადამწყვეტილებას პირის ექსტრადიციის თაობაზე ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად განიხილავს და მას აკისრებს პასუხისმგებლობას, როდესაც სახელმწიფოს საკმარისი საფუძველი ჰქონდა, ევარაუდა, რომ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნა სახელმწიფოსთვის პირის გადაცემის შემთხვევაში არსებობს რეალური საფრთხე - იგი დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ, სასტიკ მოპყრობას ან სასჯელს³⁰ და მან ის დაუცველი დატოვა³¹. აქედან გამომდინარე, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია პირის გადაცემამდე შეათვასოს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნა სახელმწიფოში პირის ღირსების უფლების დაცვის პერსპექტივა.

ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა რუსეთის ფედერაციაში

რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების დარღვევის პრაქტიკაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველწლიურ ანგარიშებშია ყურადღება გამახვილებული. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი 2021 წლის ანგარიშში ხაზგასმით წერს სასჯელალსრულების დანესებულებების გადატვირთულობაზე, არასაკმარისი ვენტილაციისა და სანიტარიის პრობლემებზე, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ძალადობის შემთხვევებზე. ერთ-ერთ დიდ პრობლემად კი, კვლავ

²⁶ „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (განცხადება № 37201/06, 2008 წლის 28 თებერვალი. <https://bit.ly/3ItE6Zz>)

²⁷ Jabari v. Turkey, App. No. 40035/98, (11 July 2000); Singh and Others v. Belgium, App. No. 33210/11, (2 October 2012), para. 104. <https://bit.ly/3NXCKbo>

²⁸ Salah Sheekh v. the Netherlands, App. No. 1948/04 (11 January 2007) para. 136. <https://bit.ly/2Blngwj>

²⁹ M.S.S. v. Belgium and Greece, GC, App. No. 30696/09 (21 January 2011) paras. 344-359. <https://bit.ly/3NXhwky>

³⁰ Soering v. The United Kingdom [14038/88], მე-100 პარაგრაფი, 1989 წლის 07 ივლისი.

³¹ Mamatkulov and Askarov v. Turkey [46827/99 და 46951/99], 69-ე პარაგრაფი, 2005 წლის 04 თებერვალი.

რჩება სამედიცინო რესურსებისა და საკვებზე შეზღუდული წვდომა. ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ მსჯავრდებულებს საკვებით ხშირად მათი ოჯახები ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ³². გარდა ამისა, ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაციის საპატიმროების ადმინისტრაცია ხელს უშლიდა დამკვირვებლებს, მოესმინათ პატიმრების საჩივრები. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) წევრებს მიეცათ ციხეების ნახვის შესაძლებლობა, რუსეთის ფედერაციამ არ მისცა ნებართვა ბოლო ანგარიშის გამოქვეყნებაზე³³.

Human Rights Watch-ის 2021 წლის ანგარიშის თანახმად³⁴, რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების მდგომარეობა უარესდება. მათი შეფასებით, არსებულ გამოწვევებს სახელმწიფო კვლავ პასუხობს სამოქალაქო აქტიურობის აკრძალვით, რეპრესიული კანონებით და მოქალაქეთა დემონსტრაციული ღევით. ხშირია პოლიტიკურად მოტივირებული ღევების, დაკავების შემთხვევები.

Amnesty International-ის ანგარიშის თანახმად, რუსეთის ფედერაციის სასჯელაღსრულების დანესებულებებში მყოფი პირების უფლებები ხშირად ირღვევა, მათ შორის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს პატიმართა ტრანსპორტირების წესი³⁵ და სამედიცინო სერვისებზე წვდომის არარსებობა³⁶.

შეჯამება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს აქვს უფლება, გადასცეს პიროვნება მეორე ქვეყანას ამ უკანასკნელის მიერ გაცემული დიპლომატიური გარანტიების საფუძველზე მხოლოდ მაშინ, თუ ეს გარანტიები ნამდვილად ანეიტრალებენ ამ პიროვნების მიმართ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის რისკს. ამისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ აღნიშნული გარანტიები: **1) შესაბამისი საშუალებაა კონკრეტული პიროვნების მიმართ არსებული საშიშროების გასაანეიტრალებლად და რომ 2) მიმღებ ქვეყანას შეუძლია ენდოს ამგვარ დაპირებებს³⁷.**

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის თანახმად, დიპლომატიური გარანტიების სანდოობის შემოწმება შედარებით ადვილია, როცა კონკრეტულ პიროვნებას, ექსტრადირების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა ემუქრება, მაგრამ ასეთი დიპლომატიური გარანტიების შემოწმება საკმაოდ პრობლემატურია მაშინ, როდესაც პიროვნებას, ექსტრადირების შემთხვევაში, წამება ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმები შეიძლება დაემუქროს³⁸.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფოების მიერ გაცემულ დიპლომატიურ გარანტიებზე იყო საუბარი, გამოთქმულია აზრი, რომ

³² RUSSIA 2019 HUMAN RIGHTS REPORT, 2019, გვ. 9-10. <https://bit.ly/3uxB2gD>

³³ RUSSIA 2019 HUMAN RIGHTS REPORT, 2019, გვ. 12. <https://bit.ly/3uBoXqJ>

³⁴ Human Rights Watch -ის 2021 წლის ანგარიში. <https://bit.ly/3lqlvDM>

³⁵ Prison transportation in Russia - Amnesty International, 2017, გვ. 18-19. <https://bit.ly/3yxeKMX>

³⁶ Prison transportation in Russia - Amnesty International, 2017, გვ. 23. <https://bit.ly/3nWFy4k>

³⁷ UNHCR-ის „შენიშვნები დიპლომატიურ გარანტიებზე“, პარაგრაფები 20-26.

³⁸ „სურეში კანადის წინააღმდეგ, [2002] 1 S.C.R. 3, 2002, SCC 1, პარაგრაფი 124. <https://bit.ly/3AADpTx>

„ასეთი გარანტიები არასანდო და არაეფექტურია წამებისგან და სასტიკი მოპყრობისგან დაცვის მხრივ: ამგვარი გარანტიები ჩვეულებრივ გაიცემა სწორედ ისეთი ქვეყნების მიერ, სადაც წამების პრაქტიკა სისტემატურად გამოიყენება; ადამიანის ასეთ ქვეყნებში დაბრუნების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმები არ წარმოადგენს წამების აღკვეთის გარანტიას; დიპლომატიური გარანტიების შესრულება არ არის სამართლებრივად სავალდებულო, ამიტომ მათი დარღვევისთვის აღნიშნულ ქვეყანას არანაირი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო იმ პირს, რომლის წამებისგან დაცვის პირობას დებდა ესა თუ ის სახელმწიფო, ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების არავითარი საშუალება არ აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური მომხსენებლის აზრით, სახელმწიფოებმა არ უნდა განიხილონ დიპლომატიური დაპირებები წამებისგან ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებისგან დაცვის გარანტიებად, მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ექსტრადირების შემთხვევაში, კონკრეტული პიროვნება წამების ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების მსხვერპლი შეიძლება გახდეს“³⁹.

რამზან ახიადოვი და მისი ინტერესების დამცველი, მუღმივად მიუთითებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ექსტრადირების შემთხვევაში რამზან ახიადოვი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა, რის გამოც მისი გადაცემა რუსეთის ხელისუფლებისთვის დაუშვებელი იყო. თუმცა, სასამართლომ მაინც მიიჩნია ექსტრადიცია დასაშვებად. სასამართლოს განმარტებით, რამზან ახიადოვის შემთხვევაში, ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებდა, რომ იგი ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის მსხვერპლი გახდებოდა. ამასთან ერთად, სასამართლომ მიუთითა, რომ რამზან ახიადოვის მიმართ უფლებების დარღვევის რისკი არ არსებობდა, რამდენადაც წარმოდგენილი იყო რუსეთი გენერალური პროკურატურის გარანტია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ხელისუფლების მსგავსი ქმედება არაერთ ადამიანს წამებისა და სასტიკი მოპყრობისთვის წირავს, მით უფრო მაშინ, როცა ექსტრადიციის პროცესის კანონიერების და ადამიანის უფლებების დაცვის მაკონტროლებელი რგოლის - სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა საქართველოში მწვავე კრიტიკის საგანია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამას ადასტურებს ცალკეულ საქმეებზე ქართული სასამართლოების მიერ ექტრადიციასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის პროცესი, რომლის დროსაც, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით, შესაძლო საფრთხეების შესწავლა შაბლონურად ხდება და, როგორც წესი, ხელისუფლების მსგავსად, სასამართლოსთვისაც რუსეთის ფედერაციის „დაპირება“ საკმარის გარანტიას ქმნის ამ პირთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკების გამოსარიცხად. შესაბამისად, თავისუფლებათა აღკვეთილ პირთა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების გახშირებული შემთხვევები, რაც ორგანიზაციის შეფასებით, პოლიტიკური ლოიალობის საფუძველზე ხდება, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ხელყოფის უმძიმეს პრაქტიკას ქმნის.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და ადამიანის უფლებათა

³⁹ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში „შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეისთვის“, U.N. Doc. A/60/316, 2005 წლის 30 აგვისტო, პარაგრაფი 51. <https://bit.ly/3AEJlph>

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამო, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მათ შორის, ექსტრადირებულ პირებთან მიმართებაშიც. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „შამაევი და 12 სხვა საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ“ მსგავსი საქმის მკაფიო მაგალითია. ამასთან, არაერთი ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია, მუდმივად აღნიშნავს რუსეთის ფედერაციის საპატიმრო და სასჯელაღსრულების დანესებულებებში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობაზე, პოლიტიკური მართლმსაჯულების მაღალ რისკზე, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკებზე და ა.შ. ეს საკითხი, კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდგომ, რაც რუსეთის ფედერაცია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების რიცხვში არ ირიცხება, რაც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ცალსახად ნეგატიურად აისახება.

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ქვეყანა, საიდანაც ხდება პიროვნების ექსტრადიცია, ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ ექსტრადირებული პიროვნება არ დაექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებას“⁴⁰. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, არ დაუქვემდებარონ ექსტრადიციას ან არ გააძვირონ დაინტერესებული, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელი პირი, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი, რომ მიმღებ სახელმწიფოში მას რეალურად ემუქრება ისეთი მოპყრობის საშიშროება, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს“. ევროსასამართლოს განმარტებით, „როდესაც სახელმწიფო ექსტრადიციის ღონისძიებას განიხილავს კონვენციის მე-3 მუხლის კუთხით, იგი პირველ რიგში აფასებს ობიექტური საკითხის არსებობას, რომელიც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ექსტრადირების მომწყობ სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში“⁴¹.

ამდენად, ორგანიზაციის შეფასებით, ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ავტორიტეტული უწყებების შეფასებების გათვალისწინება კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. აღნიშულს ევროპული სასამართლო შემდეგნაირად განმარტავს: **„რისკის არსებობის შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავერკვეთ რამდენად იცნობდა ექსტრადიციის განმახორციელებელი ქვეყანა ვითარებას, რომელიც არსებობდა ექსტრადიციის მომენტში. როდესაც პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება კონვენციის ფარგლებში, მაშინ ეს პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ექსტრადიცია, რისი პირდაპირი შედეგია ის, რომ პიროვნება ცუდი მოპყრობის საფრთხის წინაშე დადგა“**⁴². ამ ფონზე, ცენტრის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იუსტიციის ყოფილი მინისტრის არაერთი დაპირებისა, რომ ექსტრადიციის რეზონანსულ საქმეებს პირადად გაუნვედა მონიტორინგს, სამინისტრო დღემდე არ ასაჯაროვებს ინფორმაციას, უკვე ექსტრადირებული პირების მდგომარეობის მონიტორინგის პროცესისა და მისი შედეგების შესახებ. ეს კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს საზოგადოებაში ამ პროცესისადმი და საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების აღსრულებაზე.

⁴⁰ Case of „Shamaev and 12 others v. Georgia and Russia“, Application number 36378/02. <https://bit.ly/3NLIrKV>

⁴¹ იქვე.

⁴² Case of „Shamaev and 12 others v. Georgia and Russia“, Application number 36378/02. <https://bit.ly/3NLIrKV>

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:

1. გაიაზროს ექსტრადიციის საკითხის კომპლექსურობა და პრობლემურობა, ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით და ყველა სხვა მსგავს საქმეში უზრუნველყოს საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობის პრინციპების განუხრელი დაცვა;
2. შეისწავლოს რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან ექსტრადირებულ პირთა სტატისტიკა და გამოკვეთილი ტენდენციების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიანდლოს;
3. გაასაჯაროვოს მეთოდოლოგია, რისი გამოყენებითაც ახორციელებს საქართველოდან ექსტრადირებულ პირთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის მონიტორინგს. ასევე, გაასაჯაროვოს აღნიშნული მონიტორინგის შედეგები;
4. დაუყოვნებლივ მოახდინოს რამზან ახიადოვისა და საზოგადოების ინფორმირება, ახიადოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის და მისი საპატიმრო პირობების შესახებ;
5. რუსეთის ფედერაციის მიერ ევროპის საბჭოს დატოვების, უკრაინის ტერიტორიაზე წარმოებული საომარი მოქმედებების, ადამიანის უფლებებების მასიური დარღვევის როგორც რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ, ისე მის შიგნით, სიკვდილით დასჯის პრაქტიკის განახლებაზე რუსეთის პოლიტიკურ წრეებში დანყებული დისკუსიისა და სხვა რელევანტური რისკების გათვალისწინებით, უვადოდ შეაჩეროს ნებისმიერი პირის ექსტრადირება რუსეთის ფედერაციაში.